ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ დეკემბერი _____ 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა)
ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით
სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ---- დეკემბრის ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის (საპირფარეშო, საკადასტრო კოდის №03.01.21.284; შენობა №1-ის ფართობი - 32,35 კვ.მ) 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (14.11.2023 წლის №008139023) მიხედვით, რომელიც შეადგენს 2 400.00 (ორიათას ოთხასი) ლარი.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა)
ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით
სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 /საპირფარეშო/ (საკადასტრო კოდი 03.01.21.284), ფართობით - 32.35 კვ.მ. რომელიც მიზანშეწონილია განიკარგოს ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), 2 (ორი) წლის ვადით.

ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (14.11.2023 წლის №008139023) მიხედვით, რომელიც შეადგენს 2 400.00 (ორიათას ოთხასი) ლარი.

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა) ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი — იოსებ ხახალეიშვილი